



საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს  
საჯარო ინფორმაციის გაცემაზე პასუხისმგებელ პირს

ბატონო/ქალბატონო,

„საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის“ 37-ე მუხლის თანახმად, ამავე კოდექსის მე-40 მუხლით დადგენილ ვადებში, გთხოვთ მოგვაწოდოთ შემდეგი სახის საჯარო ინფორმაცია:

1. 2017 წლის 28 მარტიდან (უვიზო მიმოსვლის ამოქმედებიდან) – 2017 წლის 3 მაისის ჩათვლით, საქართველოს რამდენმა მოქალაქემ ისარგებლა უვიზო რეჟიმით;
2. 2017 წლის 28 მარტიდან 2017 წლის 3 მაისის ჩათვლით საქართველოს რამდენ მოქალაქეს ეთქვა უარი საქართველოდან შენგენის ზონის საზღვრის გადაკვეთაზე/გამოაბრუნეს საზღვრიდან და რა იყო ძირითადი მიზეზი;
3. 2017 წლის 1 იანვრიდან - 2017 წლის 28 მარტამდე, თვეების მიხედვით ცალ-ცალკე (იანვარი, თებერვალი, მარტი) საქართველოდან რამდენი მოქალაქე შევიდა შენგენის ზონაში.
4. 2017 წლის 28 მარტიდან 2017 წლის 1 მაისის ჩათვლით საქართველოდან შენგენის ზონის სივრცეში გადასული საქართველოს მოქალაქეებიდან რამდენი იყო ქალი; რამდენი იყო მამაკაცი; ასევე, როგორია, მათ შორის, ასაკობრივი ჯგუფის სტატისტიკა.

პატივისცემით,

გიორგი გოგუაძე

საქართველოს რეფორმების ასოციაციის დირექტორის მოადგილე

მისამართი:

თბილისი, მიცკევიჩის #27

საკონტაქტო პირი: ირინა გურგენაშვილი

ტელ: 579 00 92 27

ელ.ფოსტა: Irina\_gurgenashvili@yahoo.com